

ფოკუს ჯგუფების კვლევა აჭარა
2014 წლის აგვისტო

შინაარსი

შესავალი.....	1
თავი 1: მეთოდოლოგია და ნიმუშის აღწერა	1
შედეგები.....	4
თავი 2: თემის პროფილი	4
თავი 3: სასოფლო-სამეურნეო მომსახურება და რესურსები.....	10
თავი 4: ბაზრის ხელმისაწვდომობა.....	22
რძის პროდუქტების გაყიდვა.....	28
პირუტყვის გაყიდვა.....	31
მეფუტკრეობა.....	33
თავი 5: საძოვრების ხელმისაწვდომობა და მართვა.....	38
თავი 6: ინფორმაცია	42
თავი 7. სიმდიდრე და სიღარიბე	49
თავი 8. გენდერი	53
თავი 9. მთავრობა	58
თავი 10. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება.....	62
თავი 11. თემის პრიორიტეტები და შედეგების შეჯამება.....	65

თავი 1: მეთოდოლოგია და ნიმუშის აღწერა

მიზანი

ფოკუს ჯგუფების კვლევა ჩატარდა 2014 წლის 2-დან 17 ივნისის პერიოდის განმავლობაში აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი. მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა ამ მუნიციპალიტეტებში დაიწყო 2014 წლის თებერვალში და გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში, რაც მოიცავს ერთწლიანი მონიტორინგისა და მხარდაჭერის ფაზას 2019 წლის თებერვლის ბოლომდე¹. ფოკუს ჯგუფის მიზანია პერსპექტივების, ტენდენციების, ქალი და კაცი ფერმერების ყოველდღიური საქმიანობის აღწერა პროგრამის არეალში მოქმედი დამხმარე ფუნქციების, რძის პროდუქტების, საქონლის ხორცისა და თაფლის ძირითადი ბაზრის ქვე-სექტორის წესებთან მიმართებაში, ასევე, ამ მონაცემების ტრიანგულაცია ბაზრის უფრო ფართო ანალიზის მეშვეობით.

კვლევის მოდელის აღწერა

ფოკუს ჯგუფის კვლევა განხორციელდა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის ხუთი სამიზნე მუნიციპალიტეტის 31 თემში. კვლევის მოდელის მოცულობამ ამ მუნიციპალიტეტების 67 თემის 46% შეადგინა. თემები შერჩეულ იქნა სხვადასხვა აგრო ეკოლოგიური ზონებისა და დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა რელიგია, ამიტომ ფოკუს ჯგუფების რაოდენობა შეესაბამება მუნიციპალიტეტის ზომას. რეგიონში ეთნიკურობა მეტწილად ერთგვაროვანია, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, სადაც ასევე მოქმედებს ალიანსების პროგრამა.² სწორედ ამიტომ, ეთნიკურობას არ უჭირავს მნიშვნელოვანი როლი ბაზრის ტენდენციებისა და ფერმერების ყოველდღიური საქმიანობების განსაზღვრაში.

რელიგია

რელიგიის თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი: ქრისტიანი და მუსულმანი. ინფორმაცია რელიგიის შესახებ მიღებულ იქნა ინტერვიუერების მიერ ირიბი და არაპირდაპირი გამოკითხვის გზით. 1 ცხრილში მოცემულია ფოკუს ჯგუფების კვლევის მოდელის რელიგიური განაწილება:

ცხრილი 1: კვლევის მოდელის აღწერა რელიგიის მიხედვით (%)

	ქრისტიანი	მუსლიმანი	შერეული
მამაკაცი	29	26	45
ქალი	26	32	42
ორივე	27	29	44

¹ დეტალური დახასიათებისათვის იხილეთ მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის შემოთავაზება.

² 2011 წელს და 2014 წელს განხორციელებული ორი ფოკუს ჯგუფის კვლევისაგან განსხვავებით ქვემო ქართლის რეგიონში ამ გამოკითხვაში ეთნიკურობა არ ყოფილა განხილული.

გენდერი

გენდერულად ჩაშლილი მონაცემების უზრუნველსაყოფად თითოეულ თემში მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფები ცალ-ცალკე ჩატარდა. გენდერულად ჩაშლილი მონაცემები საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს განსხვავებული მიდგომები გენდერის მიმართებაში და გვიჩვენებს გენდერის მიხედვით დამოკიდებულებების ცვალებადობას, რაც იძლევა ქალებისა და მამაკაცების პასუხების შედარების საშუალებას. ამ კვლევაში მოცემული გენდერული კითხვების გარდა, ასევე ხელმისაწვდომია მამაკაცისა და ქალის პასუხები თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

ცხრილი 2: კვლევის გენდერული აღწერა

		მამაკაცი	ქალი	სულ
ხულო	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	8	8	16
	გამოკითხულთა რაოდენობა	99	52	151
	ფოკუს ჯგუფების %	50%	50%	100%
შუახევი	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	7	7	14
	გამოკითხულთა რაოდენობა	75	44	119
	ფოკუს ჯგუფების %	50%	50%	100%
ქედა	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	5	5	10
	გამოკითხულთა რაოდენობა	29	34	63
	ფოკუს ჯგუფების %	50%	50%	100%
ხელვაჩაური	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	5	5	10
	გამოკითხულთა რაოდენობა	51	24	75
	ფოკუს ჯგუფების %	50%	50%	100%
ქობულეთი	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	6	6	12
	გამოკითხულთა რაოდენობა	53	41	94
	ფოკუს ჯგუფების % ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	50%	50%	100%
სულ	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	31	31	62
	გამოკითხულთა რაოდენობა	307	195	502
	ფოკუს ჯგუფების % ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	61%	39%	100%

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი და ქალი ფოკუს ჯგუფების რაოდენობა 50/50%-ს შეადგენდა, დამსწრე ქალთა რაოდენობა მამაკაცებთან შედარებით ნაკლები იყო, შესაბამისად ქალი რესპონდენტების მხოლოდ ნახევარი გამოიკითხა.

კითხვარის შინაარსი

კითხვარი შემუშავდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად, რაც მიზნად ისახავდა ინფორმაციის შეგროვებას ისეთი საკითხების შესახებ როგორცაა მომსახურებასა და ბაზარზე ხელმისაწვდომობა, რძის პროდუქტების, საქონლის ხორცისა და თაფლის წარმოება, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ღირებულებათა ჯაჭვის აგებასთან. კითხვარის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ დანართ 1-ში.

კითხვარი შედგება ქვემოთ მოცემული თერთმეტი თავისაგან:

1. *ფოკუს ჯგუფების ძირითადი ინფორმაცია* - მოცემულია ჯგუფების ეთნიკური და გენდერული შემადგენლობა და კვლევის მოდელის ზოგადი აღწერა (რომლის შედეგები წარმოდგენილია 1 და მე-2 ცხრილში).
2. *თემის პროფილი* - აღწერს თემის შემოსავლის ძირითად წყაროებს.
3. *სოფლის მეურნეობის მომსახურება და დამხმარე მასალები* - ძირითადად ფოკუსირებულია სოფლის მეურნეობის მომსახურების ხელმისაწვდომობასა და სხვადასხვა საშუალებებზე, მაგ. სამუშაო ძალა.
4. *მესაქონლეობის, რძის პროდუქტებისა და თაფლის მარკეტინგი* - იძლევა ინფორმაციას ძირითადი მესაქონლეობის ბაზრების, მომხმარებელსა და ტრანსპორტირების ხელმისაწვდომობაზე.
5. *სადოვრების ხელმისაწვდომობა და მენეჯმენტი* - გვაწვდის მონაცემებს სადოვრებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების შესახებ.
6. *ინფორმაცია* - ფოკუსირებულია არსებული საინფორმაციო წყაროების ხელმისაწვდომობაზე.
7. *სიმდიდრე და სიღარიბე* - ფოკუს ჯგუფის მიერ მოცემული სიმდიდრისა და სიღარიბის განმარტება.
8. *გენდერი* - ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში შრომისა და როლების გენდერული განაწილების შესახებ.
9. *მთავრობა* - აღწერს მთავრობის როლს სოფლის მეურნეობის სექტორში და მის კავშირს ფერმერებთან მიმართებაში.
10. *ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება* - იკვლევს რეგიონში წარმოქმნილ კატასტროფებს მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის მიმართებით, ფერმერთა დამოკიდებულებას კატასტროფების შედეგებისა და მთავრობის რეაგირების მიმართ.
11. *თემის პრიორიტეტები* - აჯამებს თემების ძირითად პრიორიტეტებს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით.

თავი 2: თემის პროფილი

ეს თავი ძირითადად კონცენტრირებულია სამიზნე თემებში ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობაზე. სოფლის მეურნეობა არის შემოსავლის მიღების ძირითადი წყარო, თუმცა არა ერთადერთი. თემებისათვის ხელმისაწვდომია ძირითადი კომერციული და საზოგადოებრივი მომსახურება, ამიტომაც ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე დასაქმებულია და ღებულობს ხელფასს ამ მომსახურების გაწევისათვის. ამ რეგიონში შემოსავლის მომტან ძირითად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საქონლის ხორცის წარმოება წარმოადგენს. კარტოფილის წარმოება და მეფუტკრეობა უფრო დაბალ დონეზე დგას, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია.

2.1: რა არის ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა ამ თემში? გთხოვთ, დაასახელოთ მნიშვნელობის მიხედვით:

0 = არ არის ამ თემში

1 = არ არის მნიშვნელოვანი


2 = ნაკლებად მნიშვნელოვანი (ანუ რამდენიმე ოჯახისათვის)

3 = მნიშვნელოვანი (ბევრი ოჯახისათვის)


4 = ძალიან მნიშვნელოვანი (უმეტესობა /ყველა ოჯახისათვის)

საქონლის ხორცი, კარტოფილი და თაფლი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორის ყველაზე მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს. ძროხა უფრო მეტად გამოიყენება საქონლის ხორცის (68%), და არა რძის პროდუქტების (31%) წარმოებისათვის.³ სიმაღლისა და კლიმატური განსხვავების მიუხედავად, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საქონლის ხორცის წარმოებას ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. თუმცა, შედეგები განსხვავდება სხვა პროდუქტებთან მიმართებაში: საქონლის ხორცის წარმოებასთან ერთად, ხულოსა და შუაზევში კარტოფილის წარმოება შემოსავლის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, საქონლის ხორცი - ქედაში, მეფუტკრეობა - ხელვაჩაურსა და ქობულეთში, ხოლო ციტრუსი ქობულეთში. შეინიშნება ტენდენცია, რომ თითოეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ უფრო მეტად ქალები, ვიდრე მამაკაცები. შემოსავლის მომტანი სხვადასხვა წყაროს მნიშვნელობის უფრო დეტალური აღწერა მოცემულია დიაგრამებში 2.1.ა, 2.1.ბ და 2.1.


³ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რძის პროდუქტები არ არის მნიშვნელოვანი, ეს ასახავს იმას, რომ წარმოებული რძე ძირითადად მოიხმარება ოჯახში, რადგან მისგან მიღებული შემოსავალი უფრო მცირეა, ვიდრე სასოფლო სამეურნეო კულტურების, თაფლისა და საქონლის ხორცის გაყიდვის შემთხვევაში.



დიაგრამა 2.1ა: ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა თემში (იმ ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელმაც უპასუხა, რომ ქვემოთ მოცემული არის მნიშვნელოვანი და / ან ძალიან მნიშვნელოვანი, ზოგადი ტენდენცია)



დიაგრამა 2.1 ბ: ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა თემში (ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, ვინც უპასუხა, რომ ქვემოთ მოცემული არის მნიშვნელოვანი და / ან ძალიან მნიშვნელოვანი, მუნიციპალიტეტებს შორის შედარება)



დიაგრამა 2.1 გ: ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა თემში (ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, ვინც უპასუხა, რომ ქვემოთ მოცემული არის მნიშვნელოვანი და / ან ძალიან მნიშვნელოვანი, შედარება გენდერის მიხედვით)

2.2: წარმოდგენილია თუ არა ქვემოთ მოცემული საწარმოები თქვენს თემში?

ძირითადი კომერციული სერვისები, როგორცაა მაღაზიები, სახერხი საშუალებები და მექანიკა თემებში საერთოა. ამ სერვისების არსებობის თვალსაზრისით გამოირჩევა ხელვაჩაური. მე-3 ცხრილი დეტალურად ასახავს საწარმოების ხელმისაწვდომობას და გვიჩვენებს სერვისების საშუალო რაოდენობას თითოეულ სოფელში. ისეთი შემთხვევები, როცა არსებული სერვისები გამოიყენება სამი ან ოთხი თემის მიერ, მცირეა (მსგავსი შემთხვევის აღსანიშნავად ნაჩვენებია ნული, როგორც საშუალო რაოდენობა). აღსანიშნავია მიკროსაფინანსო, საბანკო მომსახურებისა და გადახდის პუნქტების მცირე რაოდენობა.⁴

ცხრილი 3: თემებში არსებული საწარმოების საშუალო რაოდენობა

	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი
მაღაზიები	6	3	4	15	4
საცხოებები	0	0	1	1	0
სახერხი	3	4	2	4	1
მკერავი	1	2	0	2	1
ბანკი/მიკროსაფინანსო	0	0	1	1	1
არაფორმალური გამსესებელი	1	0	0	0	0
გადახდის პუნქტი	1	0	1	2	1
მექანიკოსი	2	3	1	6	3
მჭიდელი	2	1	1	1	1

2.3: ხელმისაწვდომია თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები თქვენს სოფელში?

სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისები ყველა სოფელშია ხელმისაწვდომი, მინიმუმ ერთი თითოეულში (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი 4). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ამ შემთხვევაშიც ყველაზე უკეთ არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება მუნიციპალურ მომსახურებას, ის არ არის ხელმისაწვდომი ხულოსა და ქედის მოსახლეობისათვის.


ცხრილი 4: თითოეულ თემში არსებული სერვისების საშუალო რაოდენობა

	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი
ექიმი	2	2	1	7	2
ამბულატორია	1	1	1	2	2
საბავშვო ბაღი	1	1	1	1	1
საწყისი სკოლა	2	2	1	3	1
საშუალო სკოლა	2	2	1	7	2
მუნიციპალური სერვისები	0	1	0	1	1

⁴ რომლებიც უკეთესად არის წარმოდგენილი ქვემო ქართლის ფოკუს ჯგუფში.

2.4. რა არის მთავარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან შემოსავლის მომტანი ძირითადი საქმიანობა ამ თემში?

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა არის ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლებში, აჭარის სოფლის მაცხოვრებლები დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სამსახურებში. მოსახლეობის მცირე რაოდენობა დასაქმებულია ვაჭრობით და მუშაობს დაქირავებულ მუშახელად. მუშაობა მშენებლობაზე, სამკერვალო ქარხნებში და საზღვარგარეთ, სეზონურ ან მუდმივ სამუშაოს წარმოადგენს. სოციალური დახმარება და პენსიები, ასევე, შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ დასახელდა. ადგილმდებარეობა არ ასახავს რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას. გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უფრო მეტი მამაკაცი მუშაობს ხელფასზე და ვაჭრობს საქონელით, ვიდრე ქალი, ხოლო მუშა-მოსამსახურედ მუშაობისას პირიქით⁵. დიაგრამა 2.2-ზე ნაჩვენებია უფრო დეტალურად:




დიაგრამა 2.2. ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა თემში (იმ ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, ვინც უპასუხა, რომ ქვემოთ მოცემული არის მნიშვნელოვანი და/ან ძალიან მნიშვნელოვანი)

2.5: მუშაობენ თუ არა თქვენი ოჯახის წევრები / ახლო ნათესავები საზღვარგარეთ?

საზღვარგარეთ მუშაობა ითვლება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, როგორც ამას ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს. გენდერის თვალსაზრისით შედეგები არ განსხვავდება:

⁵ გთხოვთ, იხილეთ პარაგრაფი 3.8.




დიაგრამა 2.3: ადამიანების რაოდენობა, თითოეული მუნიციპალიტეტიდან და საშუალოდ რეგიონიდან, ვინც მუშაობს საზღვარგარეთ (საშუალოდ თითოეულ მუნიციპალიტეტში).

თავი 3: სასოფლო-სამეურნეო მომსახურება და რესურსები

ეს თავი მოიცავს ინფორმაციას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე და გვიჩვენებს, თუ სად შეუძლიათ ფერმერებს ისარგებლონ ამ სერვისებით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ხარისხიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, ხარისხიან ვეტერინარულ მომსახურებასა და მარცვლეულის წისქვილებზე ხელმისაწვდომობა ფერმერებისათვის ძირითადი პრიორიტეტებია. ადგილზე სერვისების არარსებობის გამო ფერმერებს უწევთ მუნიციპალურ ცენტრში ან ხშირ შემთხვევაში, ბათუმში ჩასვლა. ძირითად შეზღუდვებად სახელდება: სანაშენე სერვისების, ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრანსპორტის, საკვები საშუალებების, ბალახისა და საძოვრების ხელმისაწვდომობის არარსებობა. ამ საჭიროებებს განსაზღვრავს ადგილმდებარეობა და სიმაღლე, ამიტომაც მუნიციპალიტეტების მონაცემები ამ მხრივ განსხვავდება. თუმცა, საერთო ტენდენციის მიხედვით, აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო რესურსების უკეთესი ხელმისაწვდომობა, როგორცაა ვეტერინარული მომსახურება, საქონლის საკვები და გაუმჯობესებული სანაშენე მომსახურება ის სერვისებია, რომლებსაც ფერმერები მოითხოვენ და მზად არიან ამ მომსახურებაში შესაბამისი თანხა გადაიხადონ.


3.1: სად და რამდენად ხშირად სარგებლობთ ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქციითა და მომსახურებით? მიაჩნით ქულები მნიშვნელობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტებს შორის არსებული განსხვავებები განისაზღვრება თითოეული მუნიციპალიტეტის მახასიათებლებისა და საჭიროებების მიხედვით, თუმცა წისქვილებსა და კულტივაციისათვის საჭირო მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობა მაღალ-პრიორიტეტულია ყველა მუნიციპალიტეტში. ფოკუს ჯგუფების უმრავლესობამ ძირითად პრიორიტეტად დაასახელა მექანიზაციის ხელმისაწვდომობა (74%), ვეტერინარული მომსახურება (69%) და მარცვლეულის წისქვილი (65%). ვაქცინაცია, თესვები და სასუქი, პირუტყვის დამატებითი საკვები და ვეტერინარული პრეპარატები, ასევე, მნიშვნელოვან საკითხებად დასახელდა. ხუთივე მუნიციპალიტეტში უფრო მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი, აღნიშნავს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რესურსების საჭიროებას; გამონაკლისია ვაქცინაცია, და ხელოვნური განაყოფიერება, რასაც ძირითადად მამაკაცები ასახელებენ. დიაგრამა 3.1 და 3.2 იძლევა უფრო დეტალურ სურათს.




დიაგრამა 3.1: ფერმერების % რაოდენობა, ვინც თვლის, რომ შემდეგი სახის მომსახურება პალიან მნიშვნელოვანია (მომსახურების მნიშვნელობა, ზოგადი ტენდენცია)


ფერმერების % რომლებიც მიიჩნევენ შემდეგ სერვისებს მნიშვნელოვნად
(სერვისების მნიშვნელობა, გენდერული განსხვავებები)




დიაგრამა 3.2: ფერმერების % რაოდენობა, ვინც თვლის, რომ შემდეგი სახის მომსახურება ძალიან მნიშვნელოვანია (მომსახურების მნიშვნელობა, განსხვავებები გენდერის მიხედვით)

მარცვლეულის წისქვილები ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი მომსახურებაა ფერმერების უმრავლესობისათვის ხულოს, ქედის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, ხოლო კულტივაციის ტექნიკა შუახევის მუნიციპალიტეტში. დიაგრამა 3.3 გვიჩვენებს, რომ ფერმერებისათვის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მეტ-ნაკლებად თანაბრად ხელმისაწვდომია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რესურსები და სერვისები, ხოლო დიაგრამა 3.4 გვიჩვენებს რეგიონში მომსახურების ხელმისაწვდომობის საერთო სურათს:






დიაგრამა 3.3: ფოკუს ჯგუფების მიხედვით ეს სერვისები გვხვდება მათ სოფლებში ან მეზობელ სოფლებში (% სერვისების ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება)



დიაგრამა 3.4: ფოკუს ჯგუფების მიხედვით უახლოესი ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ეს სერვისები. (% სერვისების ადგილმდებარეობა, ზოგადი ტენდენცია)⁶

⁶ კატეგორიაში „სხვა“ უმეტეს შემთხვევაში იგულისხმება ბათუმის ბაზარი.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა აღწერს ფერმერების მიერ ამ მომსახურებების ხელმისაწვდომობის ან გამოყენების სიხშირეს. განსხვავება გენდერის მიხედვით უმნიშვნელოა, თუმცა იკვეთება მუნიციპალიტეტებს შორის შედარებისას ხელმისაწვდომობის არსებობის თვალსაზრისით. ყველაზე ხშირად გამოყენებადი სერვისებია: ყველისა და ბოსტნეულის და პირუტყვის დამატებითი საკვების ტრანსპორტირება.




დიაგრამა 3.5: სიხშირე, რომლითაც ფერმერები იყენებენ ამ მომსახურებას (%), მომსახურების ხელმისაწვდომობის სიხშირე, ზოგადი ტენდენცია

3.2: სად და რამდენად ხშირად იყენებთ ქვემოთ მოცემულ მომსახურებას ამ თემში? მიანიჭეთ ქულები მნიშვნელობის მიხედვით.

კულტივაციისათვის ყველაზე ხშირად მუშა ხარი გამოიყენება, ცხენებისა და სახედრების გამოყენება ამავე მიზნით ან ტრანსპორტირებისთვის ნაკლებად გავრცელებულია. იგივე შეიძლება ითქვას ტრადიციულ საშუალებებსა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სამკურნალო მეთოდებზე. აღსანიშნავია, რომ პირუტყვის მოვლა-პატრონობისას ტრადიციული საშუალებების გამოყენება უფრო მნიშვნელოვანია ქალებისთვის; ერთადერთი გამონაკლისია პირუტყვის ტრანსპორტირებისათვის გამოყენება, რაც არ ითვლება მნიშვნელოვნად არცერთი გამოკითხული ქალისთვის. მუნიციპალიტეტებს შორის არსებული განსხვავებები გვიჩვენებს, რომ ტრადიციულ მეთოდებს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებში. დიაგრამა 3.6 და 3.7 მოცემულია ამ განსხვავებების დეტალური სურათი




დიაგრამა 3.6: ფერმერთა % რაოდენობა, ვინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩამონათვალს. (მნიშვნელობა, ზოგადი ტენდენცია)




დიაგრამა 3.7: ფერმერთა % რაოდენობა, ვინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩამონათვალს. (მნიშვნელობა, შედარება გენდერის მიხედვით)

ფერმერებს ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლებიდან მეტი საშუალება აქვთ გამოიყენონ მუშა ცხოველები თავიანთ სოფლებში, ვიდრე მათ, ვინც ცხოვრობს დაბალ ზონებში (ხელვაჩაური, ქობულეთი). იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა 3.8:



დიაგრამა 3.8: ფოკუს ჯგუფების მიხედვით ჩამოთვლილთაგან რომელია წარმოდგენილი მათ სოფლებში ან მეზობელ სოფლებში. (%მომსახურების ხელმისაწვდომობა, განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის)

გენდერი ინფორმაციული იყო მუშა ცხოველთა მომსახურების გამოყენების სიხშირის ანალიზის დროს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა 3.9 და 3.10:



დიაგრამა 3.9: ფოკუს ჯგუფები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ქვემოთ მოცემულზე ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად (% მომსახურების ხელმისაწვდომობის სიხშირე განსხვავებები გენდერის მიხედვით)⁷

3.3: იყენებთ თუ არა ვეტერინარულ საშუალებებსა და მომსახურებას?

ფერმერებს თავიანთ თემებში არა აქვთ წვდომა ვეტერინარულ მომსახურებაზე. როგორც წესი, ისინი მიდიან მუნიციპალიტეტის ცენტრში ან ბათუმში. თუმცა, შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრში არ არის მსგავსი მომსახურება, ამიტომ ფერმერებს უწევთ ბათუმში ჩასვლა. ქობულეთში ქალთა ორმა ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა, რომ ვეტერინარული საშუალებების შესაძენად ისინი ოზურგეთში⁸ მიდიან. მომსახურებასთან წვდომა მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ ხელვაჩაურში, სადაც ქალების ფოკუს ჯგუფების 80%-მა განაცხადა, რომ ისინი ყიდულობენ ვეტერინარულ მასალებსა და მომსახურებას მუნიციპალიტეტის ცენტრში, თუმცა მამაკაცების ყველა ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა, რომ ისინი ყიდულობენ ვეტერინარულ მასალებსა და მომსახურებას მხოლოდ ბათუმში.

3.4: ყიდულობთ თუ არა პირუტყვის საკვებს?

პირუტყვის მთავარ საკვებს თივა და მწვანე ბალახი წარმოადგენს. ქატო და ჩალა დაასახელდა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მიერ; თუმცა ფერმერების უმრავლესობას არ სურს გამოიყენოს სხვა საკვები საშუალებები მათი მაღალი ფასის გამო.

⁷ უმეტეს შემთხვევაში „სხვა“-ში იგულისხმება სეზონურად.

⁸ ოზურგეთი - მეზობელი რეგიონის, გურიის მუნიციპალური ცენტრი.

გამოკვეთილი ტენდენციები საკვებთან მიმართებაში:	
ხულო	ზაფხულის განმავლობაში ფერმერები აგზავნიან საქონელს მაღალმთიან საძოვრებზე, პირუტყვს კვებანენ უმეტესად თივით, რომელსაც ყიდულობენ ბათუმის ბაზარზე. თივის ერთი შვეკვის საშუალო ფასი 10 ლარია. მამაკაცი ფოკუს ჯგუფების 37% და ქალების 75 %-ის თქმით ზამთრის განმავლობაში ძირითადი დამატებითი საკვები არის ქატო, რომელსაც ყიდულობენ ასევე, ბათუმის ბაზარზე. მხოლოდ ერთი მამაკაცების და ერთი ქალების ფოკუს ჯგუფი აცხადებს, რომ ისინი ყიდულობენ თივას წალკასა და ახალციხეში, სადაც თივის ფასი უფრო დაბალია, საშუალოდ 6 ლარი.
შუახევი	ზაფხულის განმავლობაში ფერმერები აგზავნიან საქონელს მაღალმთიან საძოვრებზე. დამატებითი საკვები პირუტყვისათვის მთელი წლის განმავლობაში არის თივა და ქატო, რასაც ფერმერები ყიდულობენ მუნიციპალურ ცენტრში ან ბათუმის ბაზარში. თივის საშუალო ფასია 10 ლარი/შვეკვა, ხოლო ქატოს - ერთი ტომარა 14 ლარი.
ქედა	ქალებისა და მამაკების ფოკუს ჯგუფების თანახმად, პირუტყვის ძირითადი საკვები ზამთრის განმავლობაში არის თივა. მხოლოდ ერთმა ქალების ფოკუს ჯგუფმა დაასახელა ქატო და ჩალა ზამთრის პერიოდის დამატებით საკვებად. ფოკუს ჯგუფების 50% აცხადებს, რომ ისინი აგზავნიან პირუტყვს მაღალმთიან საძოვრებზე, ხოლო დანარჩენი საძოვრად იყენებს სოფლის ადგილობრივ მცირე მიწებს. მამაკაცების ორმა ფოკუს ჯგუფმა განაცხადა, რომ პირუტყვის საკვები ძვირია, ამიტომაც რთულია 2-ზე მეტი ძროხის შენახვა. განსხვავება მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფებს შორის უმნიშვნელოა.
ხელვაჩაური	ყველა სეზონის მანძილზე პირუტყვს კვებენ თივით. თივის საშუალო ფასია 10 ლარი/შვეკვა. მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფების 60 %-მა ქატო დაასახელა ზამთრის პერიოდის მთავარ დამატებით საკვებად. მამაკაცების ერთმა ფოკუს ჯგუფმა განაცხადა, რომ თივას ყიდულობენ კახეთში, სადაც საშუალო ფასი გაცილებით დაბალია - 6 ლარი/შვეკვა.
ხელვაჩაური	ყველა სეზონის მანძილზე პირუტყვს კვებენ თივით, რომელსაც ყიდულობენ მუნიციპალურ ცენტრში ან ბათუმის ბაზარში. თივის საშუალო ფასი ზამთარში არის 10 ლარი/შვეკვა, ხოლო ქატოს - 14 ლარი/ტომარა.

3.5: იყენებთ თუ არა პირუტყვის გამრავლების სერვისებს?


ამჟამად, ფერმერები თავიანთი პირუტყვისათვის ბუნებრივი მოშენების მეთოდს იყენებენ. საქონლის მოსაშენებლად ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების გამოყენება წარუმატებელი გამოდგა (ადგილობრივი ძროხები პატარა ზომისაა და ეს ართულებს მათ მშობიარობას). ამიტომ, ფერმერებს ურჩევნიათ ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ გაუმჯობესებული ჯიშის ბულების სერვისზე, ვიდრე ხელოვნურ განაყოფიერებაზე.

3.6: ქირაობთ თუ არა მუშახელს თქვენს ფერმერში?

3.7: რა სამუშაოს ასრულებს დაქირავებული მუშახელი?


3.8: რამდენს უხდით მათ (ფული ან ნაღდი)? როგორია გადახდის ფორმა: ყოველდღიური თუ სამუშაოს დასრულების შემდეგ?

მუშახელის აყვანა გავრცელებული პრაქტიკაა აჭარაში; თუმცა ეს ტენდენცია ძირითადად გულისხმობს მუშახელის გაცვლას ერთმანეთში, რომელსაც ნაღდი ეწოდება. მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა; თუმცა სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შედეგების შედარება ინფორმატიულია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში 3.10 ნაჩვენებია სხვადასხვა მუნიციპალიტეტს შორის შედარება.




დიაგრამა 3.10. ფერმერების 10%, ვინც ქირობს მუშახელს თავიანთი ფერმებისათვის, მუნიციპალიტეტებს შორის შედარება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბარტერული გაცვლა ან ნადი მნიშვნელოვანია, როცა საუბარია დაქირავებულ მუშახელზე. ფერმერების უმრავლესობა ქირობს მუშებს ძირითადად სოფელში და შესრულებული სამუშაოს საფასურს უხდის ნადის სახით. ფერმერები ხელვაჩაურიდან და ქობულეთიდან ასევე ქირობენ არა-ადგილობრივ მუშახელს, ნადი ფულით გადახდის პირობით, ძირითადად ციტრუსისა და თხილის საკრეფად (იხილეთ დიაგრამა 3.11).



დიაგრამა 3.11: ფერმერების %, რომლებიც ქირობენ მუშახელს საკუთარი ფერმებისათვის თავიანთი და/ან სხვა სოფლებიდან.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა 3.12 გვიჩვენებს, რომ მამაკაცებს საშუალოდ უხდებიან 24 ლარს, მაშინ როცა ქალების შრომის ყოველდღიური საფასური საშუალოდ 20 ლარია.



დიაგრამა 3.12: ფერმაში დაქირავებული მუშახელის საშუალო დღიური ხელფასი (მამაკაცების და ქალების ანაზღაურება ლარში).

3.9: არის თუ არა ფორმალური ან არაფორმალური ფერმერთა ჯგუფები, ასოციაციები ან კოოპერატივები თქვენს თემში?


ფერმერთა ჯგუფები/ასოციაციები მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში უფრო ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე დაბალ ზონაში. გამოკითხულმა ფერმერებმა აღნიშნეს მხოლოდ ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ლეღვა“ ქობულეთში, რომელიც შეიქმნა 2013 წელს ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით და ფოკუსირებულია ციტრუსსა და კაკალზე.

3.10: რა სახის რესურსა თუ საშუალებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა გიქმნით სირთულეებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში? რა გავლენას ახდენს ეს თქვენზე?

ფერმერული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად საჭირო რესურსები მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავდება და რთულია დაასახელო რეგიონისთვის ერთი მთავარი პრიორიტეტი. მუნიციპალიტეტების პასუხები იმდენად მრავალფეროვანია, რომ არცერთ რესურსს არ მიუღია ჯამში 50%-ზე მეტი.⁹ თუმცა, სანაშენე მომსახურების (47%), ხარისხიანი მექანიზაციის (45%), ტრანსპორტისა (32%) და ხარისხიანი სამოვრების (29%) ხელმისაწვდომობა სახელდება იმ რესურსებად, რომელიც აუცილებელია ხუთივე მუნიციპალიტეტისათვის, და წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ყველაზე დიდ ხელისშემშლელ ფაქტორებს. გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ, კაცები უფრო აღნიშნავენ ყველა ამ ძირითადი რესურსის საჭიროებას, ვიდრე ქალები, ერთადერთი გამონაკლისია სანაშენე მომსახურება (მამაკაცები 45%, ქალები 48%). ისევ და ისევ, განსხვავებულ პასუხებს მუნიციპალიტეტების მიხედვით განაპირობებს ადგილმდებარეობა ან/და ზღვის დონიდან სიმაღლე; გამოიკვეთა მკაფიო ტენდენცია, რომ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში უფრო აღინიშნება ამ ძირითადი რესურსების ნაკლებობა, ვიდრე დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებში. ამგვარად,

⁹ ქვემო ქართლის რეგიონში ფოკუს-ჯგუფების კვლევისას იმავე კითხვაზე ყველაზე მნიშვნელოვანმა პრიორიტეტმა მიიღო 90% და მეტი.

მუნიციპალიტეტების მიხედვით ძირითადი პრიორიტეტებია: მექანიზაცია და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - ხულო (50%), შუახევი (63%) და ქობულეთი (50%), გაუმჯობესებული საგზაო პირობები - ქედა (80%), ხოლო სანაშენე მომსახურების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა - ხელვაჩაური (40%) და ქობულეთი (50%). დიაგრამა 3.13 უფრო დეტალურად გვიჩვენებს ამ სხვაობებს:




დიაგრამა 3.13: ფერმერები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი აუცილებელია მათ თემებისთვის მომსახურებისა და რესურსების (%) ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

თავი 4: ბაზრის ხელმისაწვდომობა

ეს თავი ძირითადად კონცენტრირებულია ბაზრის ხელმისაწვდომობაზე, ფერმერთა სავაჭრო პირობებსა და მყიდველუნარიანობაზე სამიზნე თემებში. თავლი, პირუტყვი და რძის პროდუქტები რეგიონის ძირითად სავაჭრო პროდუქტებს წარმოადგენს, თუმცა ამ პროდუქტების დიდი წილი საოჯახო მოხმარებისთვის მზადდება. ნედლი რძის გაყიდვა პრაქტიკულად არ ხდება. პირუტყვი, მაგალითად, ხბო და ხარი, ძირითადად იყიდება სახლიდან. მოვაჭრეებისა და სასაკლაოების ნაკლებობა და დაბალი მყიდველუნარიანობა (ფასი) ის დაბრკოლებებია, რომლებიც ხუთივე მუნიციპალიტეტში გვხვდება და ხელს უშლის პროდუქტის გასაღებას. ძირითად სასოფლო-სამეურნეო რესურსებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ბათუმი წარმოადგენს პროდუქტების მთავარ ბაზარს. აღსანიშნავია, რომ თურქი მოვაჭრეები და შუამავლები ხშირად გვხვდება აჭარაში, ძირითადად თავლის სექტორში.

4.1 როგორ იყენებთ რძისა და ხორცის პროდუქტებს და თავლს?


ყველის დასამზადებლად გამოყენებული ნედლი რძე ძირითადად განკუთვნილია საშინაო მოხმარებისათვის, ხოლო ჭარბი რძის პროდუქტები, პირუტყვი და თავლი უფრო მეტად გასაყიდად. გენდერის მიხედვით შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, თუმცა სხვადასხვა მუნიციპალიტეტს შორის განსხვავება არსებითია, რასაც იწვევს ზღვის დონიდან სიმაღლე და მანძილი ბათუმიდან. ფერმერები ხულოდან, ქედიდან და შუახევიდან დამოკიდებულნი არიან უფრო მეტად პირუტყვისა და რძის პროდუქტების გაყიდვაზე, ხოლო ფერმერები ქობულეთიდან და ხელვაჩაურიდან აწარმოებენ უფრო მეტ თავლს (ორივე, საოჯახო მოხმარებისა და გაყიდვების თვალსაზრისით) (იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4.1):



დიაგრამა 4.1: ფოკუს ჯგუფები, რომლებმაც დაასახელეს ქვემოთ მოცემული ბაზრები, როგორ მნიშვნელოვანი და/ან ძალიან მნიშვნელოვანი ძირითადი პროდუქტებისათვის (%)

4.2: ვისზე ყიდით?

ბათუმის ბაზარი ძირითადი ბაზარია რძის პროდუქტების გასაყიდად. რაც შეეხება პირუტყვსა და თაფლს, ადგილობრივი შუამავლები¹⁰, თურქი მოვაჭრეები და სხვა მოვაჭრეები¹¹ სახელდებიან პროდუქციის ყველაზე მნიშვნელოვან მიყიდველებად. ქვემოთ იხილეთ გაყიდვების პროცენტული მაჩვენებელი თითოეული პროდუქტის მიხედვით (დიაგრამა 4.2):



დიაგრამა 4.2: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ყიდნიან პროდუქტებს აქვე ჩამოთვლილ სუბიექტებსა და ობიექტებზე. (% ზოგადი ტენდენცია)


4.3: რამდენად ხშირად ყიდით/ცვლით თქვენს პროდუქციას აქვე ჩამოთვლილ წყაროებზე?

დიაგრამა 4.3 გვიჩვენებს მკაფიო ტენდენციას, რომ გაყიდვების სიხშირის ცვლილების მიუხედავად, გაყიდვები ძირითადად განისაზღვრება, თუ ვისზე ხდება პროდუქტის მიყიდვა. არც ერთი ფოკუს ჯგუფი არ ახორციელებს ბარტერულ გაცვლას.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხედი რძის გაყიდვის პრაქტიკა ნაკლებად გავრცელებულია. რძის პროდუქტები იყიდება ყოველდღიურად ან ყოველკვირიურად, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და თაფლი იყიდება შედარებით ნაკლები სიხშირით.

¹⁰ (ადგილობრივი შუამავლები აჭარის რეგიონიდან, რომელიც მიდიან სოფლებში და ყიდულობენ პროდუქციას ფერმერებისაგან.)

¹¹ (მოვაჭრეები / შუამავლები არიან მოვაჭრეები, რომლებზეც ყიდნიან ფერმერები თავიანთ პროდუქციას და ეს მოვაჭრეები ყიდნიან პროდუქციას ან სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ან პირდაპირ მომხმარებლებზე.)




დიაგრამა 4.3: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ყიდნიან პროდუქციას ყოველკვირეულად ან ნაკლები სიხშირით (%)


4.4: როგორ ახორციელებს მოსახლეობის უმეტესობა თავისი პროდუქციის ტრანსპორტირებას ბაზარში?

რძის პროდუქტების ტრანსპორტირება ძირითადად ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით¹². პირუტყვისა და თაფლის ადგილობრივ შუამავლებზე მიყიდვა უფრო გავრცელებული პრაქტიკაა, ვიდრე ამ პროდუქციის ბაზარში გაყიდვა, შესაბამისად ამ პროდუქციის ტრანსპორტირება თავად ფერმერების მიერ იშვიათად ხდება. თაფლის ტრანსპორტირება ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან საკუთარი სატვირთო მანქანით ხორციელდება. იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4.4 და 4.5:

¹² ძირითადად „მარშუტკით“ (სამარშრუტო მინი ავტობუსი), რაც წარმოადგენს ძირითად საზოგადოებრივ ტრანსპორტს




დიაგრამა 4.4: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც იყენებენ მოცემულ ტრანსპორტს პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის (%)



დიაგრამა 4.5: პროდუქციის გასაყიდად დახარჯული ფულის საშუალო რაოდენობა (ლარი).

4.5: მანძილი სოფლიდან ქვემოთ მოცემულ ბაზრებამდე (კმ)


პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის სხვადასხვა ბაზრამდე, ბათუმის ბაზრის გარდა (მირითადად ოზურგეთის, ქობულეთისა და ახალციხის ბაზრები) ფერმერები გადიან დაახლოებით 30 კმ-ს. ბათუმის ბაზრამდე მანძილი მერყეობს 34-დან 84 კმ-მდე, პროდუქციისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. ნედლი რძის ტრანსპორტირება ხდება მინიმალურ დისტანციაზე, ხოლო პირუტყვის ტრანსპორტირება - ყველაზე დიდ დისტანციებზე.



დიაგრამა 4.6: საშუალო დისტანცია ბაზრებამდე (კმ)

4.6: თითოეული სახის პროდუქტის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციისათვის დახარჯული დრო (საათი)


ფერმერები არ ხარჯავენ დროს პროდუქტების შუამავლებისათვის მიყიდვისას, მაგრამ პროდუქციის გაყიდვას ბათუმსა და სხვა ბაზრებში 5 დან 21 საათამდე დრო სჭირდება (ეს ასევე მოიცავს ტრანსპორტირებაზე დახარჯულ დროს).



დიაგრამა 4.7: საშუალოდ ამ პროდუქტების ბათუმის ბაზარში გაყიდვაზე და ტრანსპორტირებაზე დახარჯული დრო (საათები)

4.7: ბაზარზე ათი ვიზიტიდან რამდენჯერ წამოგიღიათ თქვენი პროდუქტი/საქონელი უკან?

ფერმერებს არ მიაქვთ უკან დარჩენილი გაუყიდავი ნედლი რძე და პირუტყვი; თუმცა ათიდან ორ შემთხვევაში, რძის პროდუქტები და ათიდან სამ შემთხვევაში თავლი ბაზრიდან უკან ბრუნდება:




დიაგრამა 4.8: ათი ვიზიტიდან საშუალოდ რამდენჯერ ხდება პროდუქტი/საქონელი გაუყიდელი (ზოგადი ტენდენცია)

რძის პროდუქტების გაყიდვა


4.8 რა სახის რძის პროდუქტები მზადდება ამ თემში?

რძის პროდუქტები ძალიან მნიშვნელოვანია აჭარის ფერმერული მეურნეობებისათვის. კარაქი, მაწონი და ნადული (ხაჭო) ძირითადად იწარმოება საშინაო მოხმარებისათვის, ხოლო იმერული და სულგუნი ყველი გასაყიდად. რძის პროდუქტები ითვლება მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ და მნიშვნელოვან საქმიანობად ქალებისთვის. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 4.9 ნაჩვენებია ფოკუს ჯგუფების პროცენტული რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვემოთ მოცემული რძის პროდუქტების შემდეგი სახეობებია მნიშვნელოვანი, როგორც საშინაო მოხმარებისთვის, ასევე გასაყიდად:



დიაგრამა 4.9: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც თვლიან, რომ ჩამოთვლილი რძის პროდუქტები მნიშვნელოვანია მოხმარებისათვის და გასაყიდად (%)

მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით რძის პროდუქტების გაყიდვის თვალსაზრისით ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყველაზე ხშირად გაყიდვადი რძის პროდუქტი ხუთივე მუნიციპალიტეტში არის იმერული ყველი. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, კარაქი და ნადული ასევე მნიშვნელოვანი პროდუქტებია გაყიდვის თვალსაზრისით. იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4.10:



დიაგრამა 4.10: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ მოცემული რძის პროდუქტები მნიშვნელოვანია გასაყიდად. შედარება მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)

4.9 ცვლის/აერთიანებს თუ არა მოსახლეობა ერთმანეთში ნედლე რძეს გადამამუშავების მიზნით?

როგორც ფოკუს-ჯგუფების უმრავლესობამ განაცხადა, მათ არა აქვთ საკმარისი რძე, რათა გაცვალონ მეზობლებთან გადამამუშავების მიზნით, ამიტომ ეს პრაქტიკა იშვიათად ხდება. მხოლოდ ერთმა მამაკაცმა ფოკუს-ჯგუფმა შუახვევში აღნიშნა, რომ ისინი ცვლიან რძეს გადამამუშავების მიზნით, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით.

4.10: ყიდის მოსახლეობა ნედლე რძეს?


4.11: ვისზე და სად იყიდება ნედლე რძე?

4.12: რომელი რძის პროდუქტების გადამამუშავება ხდება ადგილობრივი საწარმოების მიერ?

ფოკუს ჯგუფების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი არ ყიდნიან ნედლე რძეს ბაზრამდე მანძილისა და რძის შემკრები ცენტრების ან რძისა და ყველის გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობის გამო. როგორც კვლევისას გაირკვა, სამიზნე თემებში რძის შემკრები ცენტრები ან ყველის გადამამუშავებელი საწარმოები არ არსებობს და უახლოეს ბაზრამდე დიდი მანძილის გამო მაღალი სატრანსპორტო ხარჯები ხელს უშლის ფერმერებს გაყიდონ ნედლე რძე.

4.13: რა გიქმნით სირთულეს გაყიდვით თქვენი რძის პროდუქტები? რა გავლენას ახდენს ეს თქვენზე?


დაბალი ფასები რძის პროდუქტებზე (63%), რძის შემკრები ცენტრების არარსებობა (58%) გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობასთან ერთად (42%) ითვლება რძის პროდუქტების გაყიდვის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად. გენდერული ანალიზი არ იძლევა საკმარის ინფორმაციას ქალებისა და მამაკაცების პრიორიტეტების გამოსაყოფად, თუმცა მამაკაცები ყველა ამ პრობლემას უფრო მწვავედ აღიქვამენ, ვიდრე ქალები, ანუ მამაკაცების ფოკუს ჯგუფები თითოეულ ამ საკითხს უფრო პრობლემატურად აღიქვამენ, ვიდრე ქალები და ინტერვალი საშუალოდ შეადგენს 21%-ს. ძირითადი პრობლემების განსაზღვრის თვალსაზრისით, ადგილმდებარეობა ბევრად უფრო ინფორმატიული იყო; ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 4.11 ნაჩვენებია პროცენტული მაჩვენებლები და მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებები.



დიაგრამა 4.11: ფოკუს ჯგუფები ასახელებენ ქვემოთ ჩამოთვლილს, როგორც პროდუქტის გაყიდვის შემაფერხებელ ფაქტორს (%)


4.14: რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პირუტყვი სახლიდან გასაყიდად?

ერთი წლის პროხა (55%) და ხბო (47%) გასაყიდად ყველაზე მნიშვნელოვანი საქონელია, ნაკლები მნიშვნელოვანია ენიჭება ხარებს (24%), ზრდასრულ მდედრს (19%) და კასტრირებულ მამრებს (6%). ფერმერებს ასევე ჰკითხეს, ყიდიან თუ არა ისინი ცხვარს, მაგრამ ეს პირუტყვი რეგიონში გავრცელებული არ არის. ერთი წლის ცხოველის გაყიდვას ყველაზე დიდი პრიორიტეტი ენიჭება ხულოსა და შუახევში, ხბოების გაყიდვას კი ქედასა და ხელვაჩაურში, ხოლო ქობულეთისთვის ორივე მათგანი პრიორიტეტულია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში 4.11 ნაჩვენებია ძირითადი მიმართულებები. სამოვრების ხელმისაწვდომობა მჭიდროდ დაკავშირებულია ამ მონაცემებთან, ანუ სამოვრების უკეთესი ხელმისაწვდომობა პირუტყვის მოვლის ხანგრძლივობას ზრდის.



დიაგრამა 4.11: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც თვლიან, რომ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანია გასაყიდად (%), საქონლის სახეობებს შორის განსხვავებების მნიშვნელობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში

ფერმერები პირუტყვს ძირითადად ყიდნიან ადგილობრივ შუამავლებზე და უფრო ნაკლებად სასაკლაოებზე, ასევე პირუტყვის ბაზარში და თურქ მოვაჭრეებზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4.12 გვიჩვენებს ძირითად მიმართულებებს.




დიაგრამა 4.12: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ასახელებენ მოცემულ ბაზრებს მნიშვნელოვნად საქონლის გასაყიდად (% ბაზრების მნიშვნელობა საქონლის გასაყიდად, ზოგადი ტენდენცია)

4.15: რა სახის ხორცის გადამამუშავებელი ობიექტები არსებობს ამ თემში?

ქალების ორი ფოკუს ჯგუფის თანახმად, არის ორი სასაკლაო: ერთი ფოკუს ჯგუფის თანახმად შუახევის ცენტრში არის ერთი სასაკლაო, ხოლო ქალების მეორე ჯგუფმა ხულოში აღნიშნა, რომ სოფელ ღორჯომში არის საშუალო ზომის სასაკლაო. ფერმერები დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში აცხადებენ, რომ მათთან სასაკლაო არ არის.

4.16: რა ართულებს თქვენი ხორცის პროდუქტების გაყიდვას? რამდენად ახდენს ეს თქვენზე გავლენას?

როგორც რძის პროდუქტების შემთხვევაში, ფერმერების მიერ პირუტყვის ხორცის გაყიდვის ყველაზე დიდ პრობლემად დაბალი ფასები სახელდება. გენდერული ანალიზისას, ისევე როგორც რძის პროდუქტების შემთხვევაში, აქაც მამაკაცები პრობლემას უფრო მწვავედ აღიქვამენ, ვიდრე ქალები. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 4.13 გვიჩვენებს ძირითად მიმართულებებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.



დიაგრამა 4.13: ფოკუს ჯგუფები ასახელებენ შინაური პირუტყვის გაყიდვის ხელისშემშლელ ფაქტორებს (%)

მეფუტკრეობა

4.17 რამდენი მეფუტკრეა თქვენს თემში?

მეფუტკრეობა უფრო გავრცელებულია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, ვიდრე დანარჩენ სამიზნე ტერიტორიაზე. ქვემოთ მოცემული მე-6 ცხრილიც ამას ადასტურებს.

ცხრილი 6: მეფუტკრეების საშუალო რიცხვი მუნიციპალიტეტებში

ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	მაჭახელა	ქობულეთი
102	70	170	232	96	603

4.18: მიგყავთ თუ არა თქვენი ფუტკრის ოჯახები სხვადასხვა საძოვრებზე?

ფოკუს ჯგუფის მხოლოდ 6-16% აცხადებს, რომ ფერმერებს გაჰყავთ ფუტკრის ოჯახები საძოვრებზე. იხილეთ ქვემოთ მოცემული მე-7 ცხრილი.

ცხრილი 7: ფოკუს ჯგუფების %, რომელიც აცხადებს რომ გაჰყავთ ფუტკრის კოლონიები საძოვრებზე

	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური ¹³	ქობულეთი
მეფუტკრეთა %, რომელსაც გაჰყავს ფუტკრები საძოვარზე	16	10	10	16	6

4.19 რომელ საძოვარზე მიგყავთ ფუტკრის ოჯახები?

დაბალი, საშუალო და მაღალი ზონების გამოყენება ფუტკრის საძოვრებად გავრცელებული პრაქტიკაა. სანაპირო რაიონები (განსაკუთრებით ბათუმის ახლოს) გამოიყენება როგორც დაბალი ზონის საძოვრებად, ძირითადად მათთვის ვისაც ჩამოჰყავს ფუტკარი ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტებიდან. იმ ფერმერებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებში, როგორცაა ხელვაჩაური, ფუტკრის საძოვრებად იყენებენ ადგილობრივ ტერიტორიებს.


ქედის მუნიციპალიტეტი ძირითადად გამოიყენება ფუტკრის საძოვრების მაღალ ზონად, მაგრამ ამ მიზნით ზოგიერთი ფერმერი გურიის მთებზე იყენებს (მაგ. ფერმერები ხელვაჩაურიდან).

4.20 მანძილი (კმ) სოფლიდან

მანძილი ფუტკრის საძოვრებამდე არ არის დიდი¹⁴. იხილეთ დიაგრამა 4.1

¹³ მეფუტკრეობის მიმართულებით დამატებითი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა მაჭახელაში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი).

¹⁴ მანძილი დაბალ ზონებამდე შედარებით დიდია, რადგან მეფუტკრეებს მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან ფუტკარი დაბალი ზონის საძოვრებზე გაჰყავთ, ხოლო მანძილი საშუალო ზონის საძოვრებამდე ნაკლებია და ძირითადად მოიცავს ადგილობრივი სოფლის მცირე საძოვრებს.



დიაგრამა 4.14: მანძილი სოფლიდან სამოვრებამდე (კმ)

4.21: რა ტრანსპორტი გამოიყენება სამოვრის ხელმისაწვდომად? (საკუთარი სატვირთო მანქანა, დაქირავებული სატვირთო მანქანა და ა.შ.)

როგორც წესი, ფუტკრის ოჯახების სამოვრებზე ტრანსპორტირებისათვის დაქირავებული სატვირთო მანქანები გამოიყენება.

4.22: იხდით თუ არა საფასურს სამოვრების გამოყენებისათვის და რამდენს?

მხოლოდ ფერმერები შუახევის მუნიციპალიტეტიდან, სადაც მეფუტკრეობა ნაკლებად განვითარებულია, არ იყენებენ ფუტკრის ფასიან სამოვრებს. დანარჩენები სეზონურად იხდიან საშუალოდ 3 ლარს თითო სკაზე. ეს მაჩვენებელი ერთნაირია ოთხივე მუნიციპალიტეტში.

4.23: დედა ფუტკარი თქვენით გამოგყავთ თუ ყიდულობთ, და თუ ასეა, გთხოვთ, მიუთითოთ სად?


ფოკუს ჯგუფებმა განაცხადეს, რომ დედა ფუტკარი თავისით გამოჰყავთ, თუმცა გამოთქვამენ სურვილს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებული ჯიშის დედა ფუტკარზე.

4.24: სად ყიდულობთ მეფუტკრეობისათვის საჭირო მასალებსა და მომსახურებას?

მეფუტკრეობის საშუალებების ადგილობრივი (მუნიციპალიტეტისა და თემის დონეზე) მომსახურება რეგიონში განვითარებული არ არის და ფერმერები მიდიან ბათუმის ან ქობულეთის მეფუტკრეობის მაღაზიებში, რომელთა რაოდენობა სულ სამია.

4.25: ხომ არ დაავადებულა ფუტკარი რაიმე დაავადებით?

ფუტკრის დაავადებები ყველაზე მეტად გავრცელებულია ხელვაჩაურისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, დაავადებები ყველაზე ნაკლებად დასახელდა ქობულეთის ფოკუს ჯგუფების მიერ; გარდა ამისა, ყველა მუნიციპალიტეტში უფრო მეტმა მამაკაცმა (35%) ახსენა ფუტკრის დაავადებები, ვიდრე ქალმა (29%). ყველაზე გავრცელებული დაავადებებია: დიარეა, ამერიკული სიდამპლე და ვარვატოზი ვირუსი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში 4.15 ნაჩვენებია დეტალური შედარება მუნიციპალიტეტებს შორის.




დიაგრამა 4.15: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც მიუთითებს ფუტკრის დაავადებების წარმოქმნაზე მუნიციპალიტეტებში (შედარება მუნიციპალიტეტებს შორის)

4.26: არსებობს თუ არა მეფუტკრეთა ფორმალური ან არაფორმალური ჯგუფები, ასოციაციები ან კოოპერატივები თქვენს თემში?

ფოკუს ჯგუფები არ ფლობდნენ ინფორმაციას მეფუტკრეთა რაიმე სახის ჯგუფების შესახებ, თუმცა სამმა მათგანმა აღნიშნა, რომ მეფუტკრეობის ასეთი ტიპის ასოციაციები არსებობდა წარსულში ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

4.27: რა ართულებს თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების გაყიდვას? რა გავლენას ახდენს ეს თქვენზე?

კლიენტების ნაკლებობა (40%), დაბალი ფასები თაფლზე (39%) და შუამავლების ნაკლებობა (37%) ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია, ასევე დათვები, რომლებიც ზიანს აყენებენ სკას, პრობლემად დასახელდა 18%-ის მიერ. ქალისა და მამაკაცის პასუხებში იგივე ტენდენციაა რაც იყო რძის პროდუქტებისა და პირუტყვის მარკეტინგის თვალსაზრისით, თითოეული ფაქტორი მამაკაცების მიერ უფრო პრობლემურად შეფასდა, ვიდრე ქალების მიერ (საშუალო ინტერვალი მოიცავს 29%-ს). პრობლემური ფაქტორები იცვლება მუნიციპალიტეტების მიხედვით: ხულოს მუნიციპალიტეტში - დაბალი ფასები თაფლზე (44%), შუახევში - შუამავლების ნაკლებობა (50%), ქედაში - სამივე აღნიშნული პრიორიტეტი (30% თითოეული). ხელვაჩაურსა (50%) და ქობულეთში (67%) მთავარ შეზღუდვად კლიენტების ნაკლებობა დასახელდა.




თავი 5: სამოვრების ხელმისაწვდომობა და მართვა

ეს თავი ასახავს სამოვრების მდგომარეობასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს პროგრამის არეალის ხუთივე მუნიციპალიტეტში. ხულოს, შუახევისა და მეტნაკლებად, ქედის მუნიციპალიტეტების მაღალი ზონაში მდებარეობის გამო მაღალმთიანი სამოვრები ადვილად ხელმისაწვდომია და ფერმერების მიერ მაღალი მნიშვნელობის სამოვრებად სახელდება. დანარჩენ ორ მუნიციპალიტეტში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში, ფერმერები იშვიათად აგზავნიან მსხვილფეხა საქონელს მაღალმთიან სამოვრებზე.

5.1 რა ტიპის სამოვარია უფრო მნიშვნელოვანი თქვენთვის: მაღალმთიანი თუ სოფლის მცირე სამოვარი?

გამოკითხულთა 65% თვლის, რომ მაღალმთიანი სამოვრები ყველაზე მნიშვნელოვანია, დანარჩენი 35% კი მნიშვნელოვნად თავიანთ სოფლებში არსებულ სამოვრებს მიიჩნევს. მუნიციპალიტეტებს შორის შედარება აჩვენებს, რომ ფერმერებისათვის მაღალი ზონის მუნიციპალიტეტებიდან, როგორცაა ხულო, შუახევი და ქედა ხელმისაწვდომია მაღალმთიანი სამოვრები, რომელიც ფერმერების მიერ მაღალი მნიშვნელობით ფასდება. ფერმერები დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებიდან, როგორცაა ქობულეთი და ხელვაჩაური, ძირითადად იყენებენ სოფლის მცირე სამოვრებს ყველა სეზონის დროს, რადგან დაბალ ზონაში მდებარეობის გამო მაღალმთიანი სამოვრები ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამდენად, მათთვის სოფლის მცირე სამოვრები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაღალმთიანი სამოვრები.



დიაგრამა 5.1: ფოკუს ჯგუფები ასახელებენ ქვემოთ ჩამოთვლილ სამოვრებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს (% მუნიციპალიტეტის მიხედვით დაყოფილი მონაცემები)

5.2: სად მდებარეობს საძოვარი, რომელსაც იყენებთ?

მე-8 ცხრილში მოცემულია საძოვრები, სოფლები და მთები, რომლებიც გამოიყენება საძოვრებად:

ცხრილი 8: საძოვრების მდებარეობა და სახელი


	სოფლის მცირე საძოვრები	დასახელებული მაღალმთიანი საძოვრები
ხულო	დასახელებული სოფლები: ყრუღელე, ვერნები და სოფლის მცირე მიწები	დასახელებული სოფლები: ვანები დასახელებული მთები: თეთრობი, სარიჩაირი, მაჭარელათი, ზანკები, საჩინო, სამზიარები, ზოტი, დელითავი და გოდერძის უღელტეხილი
შუახევი	დასახელებული სოფლები: სულადმაური, შულავერი და ადგილობრივი მცირე საძოვრები	დასახელებული მთები: თეთრობი, თაინური, ზორტიყელი, კატრიანი, ფერსათი, ჩირუხი, დღვანი, ჯინალისი, სანალია, ჯინი, მელიაყელი, გრძელგორი, კიკიბო და არაადგილობრივი ბახმარო
ქედა	ადგილობრივი მცირე საძოვრები	დასახელებული მთები: ხარაულა, დიდვაკე
ხელვაჩაური	დასახელებული სოფლები: ადა და ადგილობრივი მცირე საძოვრები	დასახელებული მთები: ჯაზიგოლი და ჯაზიყელი
ქობულეთი	ადგილობრივი მცირე საძოვრები	ბახმაროს და გომის მთები

5.3: როდის იყენებთ მას?

მაღალმთიანი საძოვრები განლაგებულია მთებში და გამოიყენება მაისიდან სექტემბრის ბოლომდე, დანარჩენი დროის განმავლობაში, ქატოსა და თივის გარდა, გამოიყენება სოფლის მცირე საძოვრები. ფერმერები ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, თავიანთი პირუტყვისათვის ძირითადად იყენებენ სოფლის მცირე საძოვრებს მთელი წლის მანძილზე.

5.4 მანძილი (კმ) სოფლიდან საძოვრებამდე


მაღალმთიან საძოვრებამდე ფერმერები საშუალოდ 45 კმ-ს გადიან. განსხვავება მუნიციპალიტეტებს შორის მნიშვნელოვანია:



დიაგრამა 5.2: საშუალო მანძილი მაღალმთიან საძოვრამდე (კმ, მუნიციპალიტეტის მიხედვით დაყოფილი მონაცემები)

5.5 აგ ზავნით თუ არა პირუტყვის მაღალმთიან საძოვრებზე ან სოფლის მცირე საძოვრებზე?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაც უფრო მაღლა მდებარეობს მუნიციპალიტეტი, მით უფრო ხელმისაწვდომია მაღალმთიანი საძოვრები. გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები და მამაკაცები ერთად მიდიან მაღალმთიან საძოვრებზე. მაღალმთიანი საძოვრების გამოყენება ქალებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია:



დიაგრამა 5.3: ფოკუს ჯგუფების %, რომლებიც აგ ზავნიან პირუტყვის საძოვრებზე და ასახელებენ მას მნიშვნელოვნად

5.6: რა ტრანსპორტი გამოიყენება მაღალმთიან საძოვრებამდე / სოფლის მცირე საძოვრებამდე მისასვლელად? (ფეხით, ტრაქტორით, სატვირთო მანქანით და ა.შ.)

ფერმერების უმრავლესობა საძოვრებამდე მიდის ფეხით. მხოლოდ ერთმა მამაკაცის ფოკუს ჯგუფმა ხელვაჩაურში, ხოლო ერთმა ქედაში, აღნიშნა, რომ ისინი იყენებენ დაქირავებულ სატვირთო მანქანებს პირუტყვის საძოვარზე ტრანსპორტირებისათვის.

5.7: რა სირთულეები გხვდებათ მაღალმთიანი საძოვრების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში?

გარეული ცხოველები და საგზაო პირობები დასახელდა ძირითად პრობლემებად მაღალმთიანი საძოვრების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში.

5.8 იცით, თუ არა ვის ეკუთვნის საძოვრები, რომელსაც იყენებთ (მაგალითად, სახელმწიფო,

კერძო პირი/კომპანია, ან ამ პიროვნების კომპანიის სახელი)?

საერთო ტენდენციის მიხედვით, ფერმერების მიერ გამოყენებული სოფლის მცირე საძოვრები და მაღალმთიანი საძოვრები სახელმწიფოს საკუთრებაა.


5.9: იხდით თუ არა საფასურს საძოვრების სარგებლობისათვის და რამდენს?

როგორც წინა პასუხში აღინიშნა, სოფლის მცირე საძოვრები და მაღალმთიანი საძოვრები სახელმწიფოს საკუთრებაა, ამიტომაც მათი სარგებლობისათვის ფერმერები საფასურს არ იხდიან.

5.10: როგორ შეაფასებდით თითოეული ტიპის საძოვრის მდგომარეობას? გთხოვთ აღწეროთ მიზეზები

(1 = ძალიან კარგი (არა დეგრადირებული მაღალი ხარისხის, მაღალმოსავლიანი); 2 = კარგი (და ა.შ.); 3 = დამაკმაყოფილებელი, 4 = ცუდი, 5 = კატასტროფული)

ხუთივე მუნიციპალიტეტში, მამაკაცებისა და ქალების უმრავლესობა აცხადებს, რომ მაღალმთიანი საძოვრები და სოფლის მცირე საძოვრები ცუდ ან მისაღებ მდგომარეობაშია. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 5.4 უფრო დეტალურად ასახავს ფერმერების შეფასებას:



დიაგრამა 5.4: ფოკუს ჯგუფების %, რომელმაც შეაფასა საძოვრები


თავი 6: ინფორმაცია

ამ თავში აღწერილია ფერმერთა დამოკიდებულება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების, მათი მნიშვნელობისა და საიმედოობის მიმართ და ასევე, გვიჩვენებს გენდერს შორის განსხვავებებს. როგორც ანალიზი ცხადყოფს, ფერმერები აჭარის რეგიონში არ თვლიან, რომ გააჩნიათ საიმედო ინფორმაციის წყაროები. ადგილობრივი ტელეარხი 25 და აჭარის ტელევიზია წარმოადგენენ ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროებს ფერმერებისათვის, თუმცა სამეურნეო ტექნიკის, საბაზრო ფასებისა და სხვა აგრო ინფორმაციის წყაროდ ადგილობრივი ან ეროვნული ტელევიზიები არ სახელდება. ფოკუს ჯგუფების უმრავლესობა სხვა ფერმერებისაგან მიღებულ ინფორმაციას ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევენ სამეურნეო ტექნიკისა და საბაზრო ფასების, პირუტყვის, თაფლის, ყველისა და რძის პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

6.1 ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროები ?

ადგილობრივი ტელეარხი 25 (81%) და აჭარის ადგილობრივი ტელევიზია (77%), ეროვნული ტელევიზია (73%) არის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი საინფორმაციო არხები ფერმერებისთვის ხუთივე მუნიციპალიტეტში. სხვა ფერმერებისგან მიღებული ინფორმაცია (56%) არის ერთადერთი არა-სატელევიზიო წყარო, რომელიც ინფორმაციის მნიშვნელოვან რესურსად ითვლება. მუნიციპალიტეტების შედეგები განსხვავდება, თუმცა ტენდენცია იგივეა. ქალებისათვის სატელევიზიო წყაროები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მამაკაცებისათვის, ხოლო ფერმერებისაგან მიღებულ ინფორმაციასთან მიმართებით, პირიქით. დიაგრამა 6.1 ასახავს ამ შედეგებს და ხაზს უსვამს ქალებისათვის იმ საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობას, რომელიც ხელმისაწვდომია სახლიდან.

ხელმისაწვდომობა შემდეგი სახის ინფორმაციის წყაროებთან
 (% ფოკუს ჯგუფებისა რომელთათვის შემდეგი სახის წყაროები
 ხელმისაწვდომია, განსხვავება გენდერის მიხედვით)




დიაგრამა 6.1: ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროების ხელმისაწვდომობა (ფოკუს ჯგუფების %, რომლის მიხედვითაც მოცემული წყაროები ხელმისაწვდომია)

ქალების ორმა ფოკუს ჯგუფმა დაასახელა *სხვა* საინფორმაციო წყაროები: გაზეთი "შუახევი", ასევე, სატელევიზიო გადაცემა „მე ვარ ფერმერი“, როგორც კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო პროგრამა.

6.2: როგორ იღებთ ინფორმაციას და რჩევებს სოფლის მეურნეობის ტექნიკასთან დაკავშირებით და ა.შ.? (1= არასანდო; 4= სანდო)

ინფორმაციის წყაროების ხელმისაწვდომობისაგან განსხვავებით, სხვა ფერმერებისაგან მიღებული ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ტექნიკასთან დაკავშირებით ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან და საიმედო ინფორმაციის წყაროდ. უნდა აღინიშნოს, რომ, თითქმის ყველა წყაროს მნიშვნელობა უფრო მაღალი შეფასებითა შეფასებული, ვიდრე მათი საიმედოობა (გენდერულმა ანალიზი მნიშვნელოვან განსხვავებას არ იძლევა):


(% ფოკუს ჯგუფებისა რომელთათვის შემდეგი სახის მნიშვნელოვანი და სანდოა სოფლის მეურნეობის ტექნიკასთან დაკავშირებით) (%*, საერთო ტრენდი*)



დიაგრამა 6.2: ფოკუს ჯგუფების %, რომელიც თვლის, რომ ჩამოთვლილი წყაროები მნიშვნელოვანი და/ან საიმედოა

6.3: *სად იღებთ ინფორმაციას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და თაფლის საბაზრო ფასებთან დაკავშირებით?*


ტენდენცია, რომ ფერმერები უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ მნიშვნელობას, ვიდრე საიმედოობას, იგივეა პირუტყვის ფასებთან მიმართებაში. პირუტყვისა და თაფლის ფასების შესახებ ინფორმაციას ფერმერები იღებენ სხვა ფერმერებისაგან. ორივე ადგილობრივი ტელევიზიის როლი მნიშვნელოვნად დაბალია პირუტყვის ფასების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან მიმართებაში, ვიდრე მათი, როგორც საინფორმაციო არხების როლი. გენდერულმა და მუნიციპალიტეტებს შორის შედარებამ არ აჩვენა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ან ტენდენცია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში 6.3 ნაჩვენებია ამ წყაროების საიმედოობა და მნიშვნელობა ფერმერებისათვის (ის წყაროები, რომელიც ფოკუს ჯგუფების 3%-ზე მეტს მიერ არ დასახელდა მნიშვნელოვნად და საიმედოდ, გამოტოვებულია):



დიაგრამა 6.3: ფოკუს ჯგუფები, რომელიც თვლის, რომ მოცემული ინფორმაციის წყაროები მნიშვნელოვანი და საიმედოა პირუტყვისა და თაფლის ფასებთან მიმართებაში (%)


6.4 სად ღებულობთ ინფორმაციას ყველისა და რძის პროდუქტების საბაზრო ფასების შესახებ?

ყველისა და სხვა რძის პროდუქტების საბაზრო ფასების შესახებ დასმულ იგივე კითხვაზე პასუხის გაცემისას ტენდენციები იყო მსგავსი, ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იყო სატელევიზიო არხებისა და ვეტერინარებისაგან მიღებული ინფორმაციის უმნიშვნელობა (ის წყაროები, რომელიც ფოკუს ჯგუფების 3%-ზე მეტის მიერ არ დასახელდა მნიშვნელოვნად და საიმედოდ, გამოტოვებულია):



დიაგრამა 6.4: ფოკუს ჯგუფები, რომელიც თვლის რომ მოცემული ინფორმაციის წყაროები მნიშვნელოვანი და საიმედოა რძის პროდუქტების ფასებთან მიმართებაში (%)


6.5. სად იღებთ ინფორმაციას თქვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოტენციური მყიდველების/ბაზრის შესახებ? ამ შეკითხვის დროს შენარჩუნებულია ზუსტად იგივე ტენდენცია, როგორც ზემოთხსენებულ შემთხვევებში.



დიაგრამა 6.5: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოცემული ინფორმაციის წყაროები მნიშვნელოვანია და სანდოა ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით პოტენციურ მყიდველებთან / სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზართან დაკავშირებით (%)

6.6: რა ართულებს თქვენთვის იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც საჭიროა რათა აწარმოოთ, გაყიდოთ და იყიდოთ საქონელი, პროდუქტები და მომსახურება თქვენი პირუტყვისთვის და რძის პროდუქტების სამეურნეო საქმიანობისათვის? (ჰკითხეთ რატომ? რათა გაიგოთ სისტემური შეზღუდვები)

ენობრივი ბარიერი პრობლემად არ ითვლება და არ ქმნის დაბრკოლებას ფერმერების მიერ ინფორმაციის მიღებისას. არსებული წყაროებისადმი ნდობის ნაკლებობა (31%) და მათი ხარისხი (24%) დასახელდა ყველაზე მნიშვნელოვან სირთულეებად. ინფორმაციის მნიშვნელობისა და საიმედოობის კუთხით განსხვავებები გენდერულ ჯგუფებს შორის უმნიშვნელო იყო, თუმცა თუ განვიხილავთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა მამაკაცი მიიჩნევს არსებულ საინფორმაციო წყაროებს ხარისხიანად. მთავარი განსხვავებები ფიქსირდება მუნიციპალიტეტების მიხედვით დაყოფილ მონაცემებში:



დიაგრამა 6.6: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოცემული ფაქტორები წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის ხელმისაწვდომად


წინასწარ განსაზღვრული შეზღუდვების (კითხვარში) გარდა, ფერმერებმა გამოთქვეს სურვილი მიიღონ მეტი ინფორმაცია საბაზრო ფასების შესახებ და ჰქონდეთ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა.

თავი 7. სიმდიდრე და სიღარიბე


მოცემული თავი ფოკუსირებულია სიმდიდრესა და სიღარიბეზე და აღწერს ფოკუს ჯგუფების მიერ მოცემულ განსაზღვრებას. კრიტერიუმებისა და ფერმერის აღქმის მიხედვით მოსახლეობის 65%, 26% და 9% მიეკუთვნება მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერებს.

*7.1: როგორ დაახასიათებდით მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერებს ამ თემში?
(პირდაპირ სთხოვეთ დაასახელონ რიცხვი, დისკუსიისა და ზოგადი მახასიათებლების განხილვის ნაცვლად)*


ფოკუს ჯგუფის მონაცემების შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ საშუალო ფერმერს ჰყავს 6 მეწველი ძროხა, მცირე ფერმერს კი - 3, ხოლო უფრო მსხვილ ფერმერს - 14. იგივე მაჩვენებელია ფუტკრის სკების შემთხვევაში: 24, 8 და 56. რაც შეეხება მიწის საკუთრებას, როგორც წესი, ფერმერებს აქვთ ნახევარი ჰექტარიდან ორ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი. გენდერული ჯგუფების შედეგებში მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავება აღინიშნება. მუნიციპალიტეტების შედარების მიხედვით, ხულოსა და შუახევის ფერმერებს ჰყავთ უფრო მეტი პირუტყვი, ხოლო ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქედის ფერმერებს უფრო მეტი ფუტკრის სკები. მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების მიხედვით დეტალური ანალიზი არასრულყოფილი იყო. დიაგრამებში 7.1, 7.2, 7.3 და 7.4 მოცემულია ფოკუს ჯგუფების მიერ მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერების განსაზღვრება ამ კრიტერიუმების მიხედვით.




დიაგრამა 7.1: პირუტყვის საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახზე თითოეულ მუნიციპალიტეტში (განსხვავებები პირუტყვის რაოდენობაში მუნიციპალიტეტების მიხედვით)




დიაგრამა 7.2: პირუტყვის საშუალო რაოდენობა (განსხვავებები პირუტყვის რაოდენობაში, ზოგადი ტენდენცია)



დიაგრამა 7.3: ფუტკრის სკების საშუალო რაოდენობა, თითოეულ მუნიციპალიტეტში (ფუტკრის სკების რაოდენობა, განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის)




დიაგრამა 7.4: ფუტკრის სკების საშუალო რაოდენობა, თითოეულ მუნიციპალიტეტში (ფუტკრის სკების რაოდენობა, ზოგადი ტენდენცია)




დიაგრამა 7.5: სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საშუალო ზომა თითოეულ ოჯახზე, თითოეულ მუნიციპალიტეტში (მიწის ნაკვეთის საშუალო რაოდენობა, განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის)

7.2: ამ თემის ოჯახების დაახლოებით რამდენი % შედის თითოეულ კატეგორიაში?

ამ კრიტერიუმებისა და ფერმერების განსაზღვრის მიხედვით, მოსახლეობის 65%, 26% და 9% შედის მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერების კატეგორიაში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში 7.6 და 7.7 ნაჩვენებია მუნიციპალური განსხვავებები ზოგად ტენდენციასთან ერთად:



დიაგრამა 7.6: მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერების საშუალო პროცენტული რაოდენობა თითოეულ მუნიციპალიტეტში (%. განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის)



დიაგრამა 7.7: მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერების საშუალო პროცენტული რაოდენობა (%. ზოგადი ტენდენცია)

თავი 8. გენდერი

ეს თავი განიხილავს ოჯახში მოვალეობების განაწილებას, რესურსების ხელმისაწვდომობასა და შემოსავალზე კონტროლს. მამაკაცებისა და ქალების ფოკუს ჯგუფების პასუხები მცირედით განსხვავდება ოჯახის ძირითადი შემოსავლის მომტან წყაროსთან დაკავშირებით. თუმცა ძირითადი განსხვავებები დაფიქსირდა ფულის ხელმისაწვდომობასა და კონტროლთან მიმართებაში.


შენიშვნა: პროგრამის ფარგლებში დამატებითი გენდერული შეფასება ჩატარდება, რადგან მუნიციპალურად ორგანიზებული ფოკუს ჯგუფი, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მესაქონლეობის საბაზრო სისტემაზე, საშუალებას არ იძლევა ფუნქციებთან, პასუხისმგებლობასთან, ხელმისაწვდომობასა და კონტროლთან დაკავშირებით უფრო დეტალური პასუხების მისაღებად, რადგანაც ეს მოითხოვს სხვაგვარ ფოკუსირებას, კითხვების სტრუქტურას, მეტ დროსა და ნაკლებად ფორმალურ გარემოს.

8.1 რა არის ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობები თქვენს ოჯახებში; ჩამოთვალეთ მამაკაცებისა და ქალების საქმიანობები. (მაგ. პირუტყვის მოვლა-პატრონობა, პროდუქციის დამუშავება, გაყიდვა, კულტივაცია)


ფოკუს ჯგუფების პასუხების თანახმად, ქალები ძირითადად ჩართულნი არიან რძის პროდუქტების გადამუშავებასა და რეალიზაციაში. მამაკაცების ორი ფოკუს ჯგუფი ხელვაჩაურში აღნიშნავს, რომ ქალები ჩართულნი არიან მეფუტკრეობაში. რაც შეეხება მამაკაცებს, ძირითადი საქმიანობა არის მეფუტკრეობა და კულტივაცია. პირუტყვის მოვლა-პატრონობა (გასუფთავება და კვება) აღნიშნული იქნა ორივე სქესის საქმიანობად. შემოსავლის განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს ძირითადად ერთობლივად ღებულობენ.

8.2: ვის ეკუთვნის ეს თანხა?

ხუთივე მუნიციპალიტეტში მამაკაცების ფოკუს ჯგუფების 77%-მა და ქალების 70%-მა განაცხადა, რომ შემოსავალი „ეკუთვნის“ ოჯახს, მამაკაცების 20% და ქალების 25% ამბობს, რომ თანხა ეკუთვნის მამაკაცებს, და მამაკაცების 3% და ქალების 5% აცხადებს, რომ ის ეკუთვნის ქალებს (იხ. დიაგრამა 8.1). მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებული ტენდენციები არ დაფიქსირებულა. ფოკუს ჯგუფების უმადლესი პროცენტული მაჩვენებელი, რომელმაც აჩვენა, რომ თანხა ეკუთვნის მამაკაცსა და ქალსაც, დაფიქსირდა შერეული რელიგიის თემებში. ქრისტიანულ და მუსულმანურ თემებში ფერმერების უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ ფული ეკუთვნის ორივე სქესს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ შერეულ (7%) და მუსლიმ (16%) თემებთან შედარებით, უფრო მეტმა ფერმერმა ქრისტიანულ თემებში (20%) განაცხადა, რომ ფული ეკუთვნის ქალებს (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 8.2.).




დიაგრამა 8.1: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფული ეკუთვნის: კაცებს, ქალებს ან ოჯახს (% ქალების და მამაკაცების აღქმა)




დიაგრამა 8.1: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფული ეკუთვნის: კაცებს, ქალებს ან ოჯახს (% სხვადასხვა რელიგიის ხალხის აღქმა)

8.3: ვინ წყვეტს, რაზე უნდა დაიხარჯოს თანხა?

მამაკაცების 80% და ქალების 71% ფოკუს ჯგუფების განცხადებით, მიღებული შემოსავალი იხარჯება ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე. მამაკაცების 7%-მა და ქალების 20%-მა განაცხადა, რომ მამაკაცები წყვეტენ, როგორ დახარჯონ ფული და მხოლოდ მამაკაცების 3%-მა და ქალების 9%-მა განაცხადა, რომ ამაზე გადაწყვეტილებას ქალები იღებენ. მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა. რელიგიის კუთხით შედარება აჩვენებს, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ერთობლივად, თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ შერეულ რელიგიასთან (9%) და მუსულმანურ თემებთან (7%) შედარებით, ქრისტიანულ თემებში ქალების 17% აცხადებს, რომ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ დახარჯონ თანხა (იხ. დიაგრამა 8.4).




დიაგრამა 8.3: ფოკუს ჯგუფების პასუხები, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას როგორ უნდა დაიხარჯოს თანხა (% ქალებისა და მამაკაცების აზრი)




დიაგრამა 8.4: ფოკუს ჯგუფების პასუხები, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას როგორ უნდა დაიხარჯოს თანხა (% სხვადასხვა რელიგიის ხალხის პასუხები)

8.4: პროდუქციის გაყიდვა:

ისინი ვინც ყიდვიან უფრო მეტად აკონტროლებენ ამ გაყიდვებიდან მიღებულ თანხას. ფოკუს ჯგუფების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მამაკაცები უფრო მეტად პასუხისმგებლები არიან თაფლის, ხბოსა და ძროხის გაყიდვაზე და ამ გაყიდვებიდან მიღებული ფულის კონტროლზე. სხვა პროდუქტებს, როგორცაა ნედლი რძე და სხვა რძის პროდუქტები ყიდვიან ძირითადად ქალები და აკონტროლებენ მიღებულ შემოსავალს. დიაგრამა 8.5 და 8.6 და ქვემოთ მოცემული მე-9 ცხრილი დეტალურად აღწერს ამას, სხვადასხვა გასაყიდი პროდუქციის გათვალისწინებით:



გამოსახულება 8.5: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც ასახელებს ვინ არის პასუხისმგებელი შემდეგი პროდუქციის გაყიდვაზე



დიაგრამა 8.6: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც აცხადებს თუ ვინ აკონტროლებს გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს

ცხრილი 9: ვინ ყიდის შემდეგ პროდუქციას და რატომ

ვინ ყიდის შემდეგ პროდუქციას და რატომ?	
ხბო	<p>ფოკუს ჯგუფების უმრავლესობის განცხადებით, ხბოს ძირითადად ყიდიან მამაკაცები, რადგანაც ეს გარკვეულ ძლისხმევას მოითხოვს. მაგრამ გამოიკვეთა საინტერესო ფაქტი: თუკი პირუტყვი იყიდება სახლიდან „მაშინ, როცა მამაკაცები არ არიან ადგილზე (მაგ.საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ), მაშინ პირუტყვს ყიდიან ქალები“.</p>
ყველი	<p>აქ ქალები წამყვან როლს ასრულებენ. ინფორმირებულნი არიან ყველის ფასების შესახებ და რძის პროდუქციასაც თვითონ ამუშავებენ. გარდა ამისა, „რძის პროდუქტების ტრანსპორტირება ზაზრამდე ადვილია, ამიტომაც ამას ქალები აკეთებენ“.</p>
რძის პროდუქტები და წვლილი რძე	<p>აქაც მსგავსი სიტუაციაა: <i>რძის პროდუქტები და წვლილი რძე</i> „ქალის საქმეა“, „ქალები უფრო არიან ჩართულები“.</p>
თაფლი	<p>თაფლს ძირითადად მამაკაცები ყიდიან, მაგრამ აქაც გამოიკვეთა ქცევის ტენდენცია: თუკი თაფლი იყიდება სახლიდან „მაშინ როცა მამაკაცები არ არიან ადგილზე (მაგ.საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ), მაშინ თაფლს ქალები ყიდიან“.</p>

თავი 9. მთავრობა

მოცემული თავი ძირითადად მოიცავს ინფორმაციას ფერმერების ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაზე, ხელისუფლებასთან კომუნიკაციის დონესა და მათ ინფორმირებულობაზე მათი ოფიციალური რწმუნებულების შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირი, გამგეობაში ვიზიტები და თემებისა და მუნიციპალიტეტების შეხვედრებზე დასწრება არ არის გავრცელებული პრაქტიკა ფერმერებისათვის, განსაკუთრებით ქალებისა და მუსულმანებისთვის.

9.1: რა კონკრეტულ საქმიანობას ახორციელებს მთავრობა თქვენს თემში სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად?

ქალებისა და მამაკაცების ყველა ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა რომ ხელისუფლება ძირითადად არიგებს ვაუჩერებს და ახორციელებს გზების შეკეთებას.

ცხრილი 10: სამიზნე თემებში მთავრობის რწმუნებულების მიერ განხორციელებული საქმიანობები სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად

	მამაკაცი	ქალი
ხულო	- სასუქის ვაუჩერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (გზები) - უზრუნველყოფს ტრაქტორებს	- სასუქის ვაუჩერი
შუახევი	- სასუქის ვაუჩერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (წყლის გაყვანილობა, გზები)	- სასუქის ვაუჩერი - უზრუნველყოფს ტრაქტორებს
ქედა	- ვაუჩერები	- ვაუჩერები
ხელვაჩაური	- სასუქის ვაუჩერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (გზები)	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჩერები
ქობულეთი	- სასუქის ვაუჩერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (წყლის გაყვანილობა, გზები)	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჩერები

9.2: იცნობთ, თუ არა ადგილობრივი ან/და ეროვნული ხელისუფლების რაიმე გეგმას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის?

ქალების ფოკუს ჯგუფების 15% და მამაკაცების 40% იცნობს მთავრობის გეგმებს სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ინფორმაციას იღებენ, ძირითადად, სოფლის რწმუნებულებისაგან¹⁵. მსგავსი ინფორმაციის კიდევ ერთ წყაროდ დასახელდა ტელევიზია.

9.3: იცით თუ არა კანონში შესული რაიმე ცვლილება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენზე ან თქვენს საბაზრო საქმიანობაზე?

ფერმერები არ არიან ინფორმირებულნი კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე. რამდენიმე ქალების ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა, რომ ისინი იღებენ ამ სახის ინფორმაციას ტელევიზიიდან (ხელვაჩაური, შუახევი და ქედა).


¹⁵ ფოკუს ჯგუფის კვლევის პერიოდში გაიმართა თითოეულ თემში წინასაარჩევნო პრომო-კამპანიები.

9.4 ვის უკავშირდებით თქვენს თემში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში?

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში ფერმერები უკავშირდებიან სოფლის რწმუნებულს.


9.5 გაქვთ თუ არა რეგულარული კონტაქტი ხელისუფლების წარმომადგენლებთან? (1 = არასდროს; 3 = ხშირად)

ფერმერებს არ აქვთ ხშირი კონტაქტი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რესპონდენტების მხოლოდ 18%-მა განაცხადა, რომ ისინი რეგულარულად უკავშირდებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს (სოფლის რწმუნებულს ან/და საკრებულოს/გამგებელს). სოფლის რწმუნებული ფერმერებისათვის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი წარმომადგენელია ხელისუფლების მხრიდან (24%), ხოლო საკრებულო/გამგებელი არის მუნიციპალიტეტის მეორე ორგანო ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით (13%). გარდა ამისა, კაცებს უფრო ხშირად აქვთ ურთიერთობა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ვიდრე ქალებს. მსგავსი ტენდენციაა ხუთივე მუნიციპალიტეტისათვის ცალ-ცალკე და ხელისუფლების ორგანოების ორივე დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ინტერვალი მუნიციპალიტეტებს შორის მერყეობს 10-დან 15%-მდე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ამ საკითხთან მიმართებაში არის რელიგია. გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია: შერეული რელიგიის თემებში მცხოვრები ფერმერები იქცევიან უფრო ქრისტიანული, ვიდრე მუსულმანური თემების მსგავსად. ამასთანავე, შერეულ თემებს უფრო რეგულარული ურთიერთობა აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ვიდრე მუსულმანურ თემებს და იგივე ეხება სქესს. (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 9.1 და 9.2).



დიაგრამა 9.1: ფოკუს ჯგუფები, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ სოფლის რწმუნებულთან (გენდერსა და რელიგიურ ჯგუფებს შორის შედარება)


% ფოკუს ჯგუფებისა რომელსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ სოფლის გამგებელთან
 ■ კაცი



დიაგრამა 9.2: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელსაც რეგულარული კონტაქტი აქვს გამგებელთან (გენდერსა და რელიგიურ ჯგუფებს შორის შედარება)

9.6: რამდენად ხშირად სტუმრობთ მუნიციპალიტეტის გამგეობას?

მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვიზიტების საერთო სიხშირე დაბალია და მხოლოდ ფერმერების 3% იყენებს ამ სერვისს (მინიმუმ) წელიწადში ერთხელ. ამ მხრივ მამაკაცები უფრო აქტიურობენ. სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების შედეგები იგივეა. განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მიერ გამგეობაში ვიზიტებს შორის თვალშისაცემია: მამაკაცები გაცილებით მეტჯერ სტუმრობენ გამგეობებს, ვიდრე ქალები (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 9.3). ადგილობრივი არჩევნები, ჯანმრთელობის საკითხები, სოციალური დახმარება, სოფლის ინფრასტრუქტურის პრობლემა და მექანიზაცია დასახელდა გამგეობებში ვიზიტების მთავარ მიზეზებად.




დიაგრამა 9.3: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც სტუმრობს მუნიციპალიტეტის გამგეობებს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

9.7: ესწრებით თუ არა სათემო შეხვედრებს? რამდენ შეხვედრას დაესწართ უკანასკნელი წლის განმავლობაში?

9.8: ესწრებით თუ არა მუნიციპალიტეტის შეხვედრებს? რამდენ შეხვედრას დაესწართ უკანასკნელი წლის განმავლობაში?

იგივე ტენდენცია ფიქსირდება ქალებთან და მამაკაცებთან მიმართებაში თემისა და მუნიციპალური შეხვედრებზე დასწრებასთან დაკავშირებით; თუმცა ორივე სქესის დასწრების მაჩვენებელი, განსაკუთრებით ადგილობრივ თემის შეხვედრების დროს, მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მუნიციპალური შეხვედრების დროს. მუნიციპალიტეტების მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება: ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 9.4 ნაჩვენებია ქალებისა და მამაკაცების დასწრების სიხშირე სათემო ან/და მუნიციპალურ შეხვედრებზე.



დიაგრამა 9.4: რესპონდენტების % რაოდენობა, რომელიც დაესწრო თემის ან / და მუნიციპალურ შეხვედრებს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

9.9: თქვენი მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილ რა სახის მომსახურებასა და დახმარებას ღებულობთ?

მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილ დახმარებასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად კვლავ ვაუჭრები დასახელდა.

ცხრილი 10: სამიზნე თემებში მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობები ადგილობრივი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად


	მამაკაცი	ქალი
ხულო	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჭრები - ინფრასტრუქტურის შეკეთება (გზები)	- სასუქის ვაუჭერი
შუახევი	- სასუქის ვაუჭერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (წყლის გაყვანილობა, გზები)	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჭრები
ქედა	- მექანიზაციისა და სასუქის ვაუჭრები	- ვაუჭრები
ხელვაჩაური	- სასუქის ვაუჭერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (გზები)	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჭრები
ქობულეთი	- სასუქის ვაუჭერი - ინფრასტრუქტურის შეკეთება (წყლის გაყვანილობა, გზები)	- ტრაქტორებისა და სასუქის ვაუჭრები

თავი 10. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება


ეს თავი ეხება ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებას და იძლევა სამიზნე თემების სურათს. ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი კატასტროფების საკითხებია: მკაცრი ზამთარი, მეწყერი და ეროზია. ადგილობრივი მთავრობა სახელდება მთავარ ორგანოდ, რომელსაც ფერმერები მიმართავენ კატასტროფის შემთხვევაში.

10.1: როდის დაფიქსირდა ბოლოს (ჩაწერეთ სტიქია)? რამდენად ზიანის მომტანი იყო ის (1 - ძალიან მინიმალური ზიანი; 5 - ყველა დაზარალდა)?

მკაცრი ზამთარი ითვლება ძირითად სტიქიად სამიზნე თემებში გამოკითხული ფერმერების 65%-სათვის; ის შეფასდა როგორც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე. ნაკლებად მძიმედ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად ითვლება მეწყერი და ეროზია, ამ კატასტროფების მაჩვენებლებია: 46% და 40% შესაბამისად. ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა 10.1 აჩვენებს ამ ზოგად ტენდენციებს უფრო დეტალურად. ბევრად უფრო ინფორმატიული იყო ადგილობრივებისა და სიმაღლის მიხედვით დაფიქსირებული განსხვავებები, რის თანახმადაც, ფერმერები ძალიან მთიანი მუნიციპალიტეტებიდან, როგორც წესი, ძირითადად კატასტროფებს უფრო მძიმედ აფასებენ, ვიდრე დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებში, იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამები 10.1 და 10.2:



დიაგრამა 10.1: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც აფასებენ მოცემული კატასტროფების სიმძიმეს (% ზოგადი ტენდენცია)



დიაგრამა 10.2: ფოკუს ჯგუფები, რომლებიც აფასებენ მოცემულ კატასტროფებს, როგორც მძიმეს ან ძალიან მძიმეს უკანასკნელი წლის განმავლობაში (% მუნიციპალიტეტებს შორის შედარება)

10.2 მოხდა თუ არა პირუტყვის დაავადებების გავრცელება (საკითხი 10.1)? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დაასახელოთ დაავადება და რა გავლენა მოახდინა მან თქვენზე.


ჯილენი და თურქული სახელდება როგორც ყველაზე გავრცელებული დაავადებები სამიზნე თემებში. ფერმერებისთვის ეს დიდ დანაკლისს წარმოადგენს, რადგანაც მათი პირუტყვი იღუპება. იხილეთ ქვემოთ მოცემული მე-12 ცხრილი.

ცხრილი 12: მუნიციპალიტეტებში დაფიქსირებული პირუტყვის დაავადებების %

	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი
თურქული	75%	43%	30%	10%	8%
ჯილენი	6%	0%	10%	20%	8%
ბრუცელოზი	0%	21%	10%	0%	0%
ტკიპები	6%	14%	20%	20%	8%

10.3: ვინ ეხმარება მოსახლეობას/ ატარებს საჭირო ღონისძიებებს პირუტყვის დაავადების გავრცელების შემთხვევაში?

ადგილობრივი ხელისუფლება სახელდება ორგანოდ, რომელიც ეხმარება ფერმერებს კატასტროფის შემდეგ რისკების შესამცირებლად. რეგიონული მთავრობა/სურსათის ეროვნული სააგენტო და ეროვნული მთავრობა/სურსათის ეროვნული სააგენტო (მეზობლებთან და ნათესავებთან ერთად) დასახელდა ფერმერების მიერ კატასტროფის შემთხვევაში დახმარების წყაროდ. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური ან არაფორმალური ფერმერთა ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კომერციული ორგანიზაციები არ უზრუნველყოფენ რაიმე სახის დახმარებას ფერმერებისთვის. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 10.3 დეტალურად არის ნაჩვენები დახმარების წყაროები სტიქიის წარმოქმნის შემთხვევაში, ცალ-ცალკე თითოეული მუნიციპალიტეტისათვის:



დიაგრამა 10.3: ფოკუს ჯგუფების % რაოდენობა, რომელიც აცხადებს, რომ ჩამოთვლილი დაწესებულებები ეხმარებიან მათ ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებაში.

10.4: ოდესმე მიგიღიათ თუ არა კატასტროფების დროს რაიმე სახის დახმარება რომელიმე ამ დაწესებულებისაგან?

ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება ძირითადად ვაქცინაციის უზრუნველყოფის სახით ხდება. დახმარების ერთეული შემთხვევები მეწყერის დროს ასევე აღინიშნა (1 ფოკუს ჯგუფი ხულოში, ორი შუახევში და ერთი ქობულეთში).

თავი 11. თემის პრიორიტეტები და შედეგების შეჯამება

11.1: რა არის მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თქვენს თემში?

ხუთივე მუნიციპალიტეტის უმთავრესი პრიორიტეტია ბაზრების ხელმისაწვდომობა ნედლი რძისა და მესაქონლეობის წარმოების გაუმჯობესებისათვის, ვინაიდან რძის პროდუქტების სფეროში არსებული შეზღუდვები ამცირებს მისგან მიღებულ შემოსავალს.¹⁶ მეფუტკრეობა მნიშვნელოვანია ყველა მუნიციპალიტეტისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად პრიორიტეტულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. მე-13 ცხრილში დეტალურად მოცემულია ფოკუს ჯგუფების მიერ დასახელებული ძირითადი პრიორიტეტები სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისათვის (შედეგები ბევრად არ განსხვავდება სქესის მიხედვით), ხოლო მე-14 ცხრილში მოცემულია შემოსავლის მომტანი ძირითადი წყაროები.

ცხრილი 13: სამიზნე თემების პრიორიტეტები

ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი
❖ რძის შემკრები ცენტრი	❖ რძის შემკრები ცენტრი	❖ ვეტერინარი/ვეტ აფთიაქი	❖ მეფუტკრეობა	❖ რძის შემკრები ცენტრი
❖ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება	❖ რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი	❖ რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი	❖ ვეტერინარი/ვეტ აფთიაქი	❖ პირუტყვის კვება
❖ ვეტერინარი/ვეტ აფთიაქი	❖ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება	❖ რძის შემკრები ცენტრი	❖ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება	❖ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება
❖ მეფუტკრეობა	❖ ვეტერინარი/ვეტ აფთიაქი	❖ მეფუტკრეობა		❖ ვეტერინარი/ვეტ აფთიაქი
❖ სასაკლავო	❖ მეფუტკრეობა	❖ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება		❖ მეფუტკრეობა
	❖ პირუტყვის კვება	❖ პირუტყვის კვება		❖ ციტრუსის ბაზარი
	❖ სასაკლავო			

ცხრილი 13: ფოკუს ჯგუფების მიერ დასახელებული შემოსავლის ძირითადი წყაროები მუნიციპალიტეტების მიხედვით

ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი
❖ კარტოფილი	❖ საქონლის ხორცი	❖ საქონლის ხორცი	❖ თაფლი	❖ ციტრუსი
❖ საქონლის ხორცი	❖ კარტოფილი	❖ ბოსტნეული	❖ საქონლის ხორცი	❖ თაფლი
❖ რძის პროდუქტები	❖ რძის პროდუქტები	❖ კარტოფილი	❖ ხილი	❖ საქონლის ხორცი
❖ ბოსტნეული		❖ რძის პროდუქტები	❖ ციტრუსი	❖ ხილისა და თხილის შეგროვება
❖ მარცვლეული		❖ თაფლი		❖ რძის პროდუქტები

¹⁶ რძესა და რძის პროდუქტებს ძირითადად მოიხმარენ სახლში, რაც მნიშვნელოვან რესურსს ქმნის შინამეურნეობის სასურსათო უსაფრთხოებასა და შინამეურნეობის შემოსავლის მხრივ, ამიტომაც როცა რძის პროდუქტების წარმოება არ ხდება სახლში, მაშინ კვებაზე დანახარჯი იზრდება. რესურსებთან და ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები ნიშნავს, რომ იქ, სადაც იწარმოება ჭარბი რძის პროდუქტები, მათი გაყიდვა რთულია და მიღებული შემოსავლებიც შესაბამისად მცირეა ძროხის ან მოსავლის გაყიდვის შედეგად მიღებულ მოგებასთან შედარებით.